განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

## შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

02.07.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **შპს კავკასიის უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **205050567** |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **ტურიზმი** |
| განათლების საფეხური | **ბაკალავრიატი** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | **ტურიზმის ბაკალავრი, 1120** |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | პროგრამა აკრედიტებულია 01.07.2014, #140 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატა კვაჭანტირაძე, ტურიზმის ასოციაცია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა მოსემღვდლიშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის" მიხედვით (დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 21 თებერვლის N01/01-03 ბრძანებით). ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი; კოდი 1120; საბაკალავრო პროგრამა დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2011 წლის 28 ივნისის #01/05-127 ბრძანებით) მოიცავს 240 კრედიტს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. სემესტრი მოიცავს კვირათა ერთობლიობას.
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შემდეგია:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 ECTS კრედიტების ოდენობით. აქედან 50 ECTS ეთმობა უცხო ენების მოდულს (2 ენის სწავლება, მათ შორის ერთ-ერთი არის ინგლისური ენა).
- დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები გათვალისწინებულია 125 ECTS კრედიტის ოდენობით, კერძოდ ის მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, მენეჯმენტის საფუძვლები, შესავალი ტურიზმში, მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, ოპერაციული მენეჯმენტი, შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში, შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში, საქართველოს ტურისტული რესურსები, ტურიზმის სამართალი და პოლიტიკა, ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები, ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები, სასტუმროს მენეჯმენტი, ტურისტული კომპანიის მენეჯმენტი, ბიზნეს კომუნიკაცია, კვებისა და სასმელების მენეჯმენტი, ტურიზმის ეკონომიკა, ტურიზმის დაგეგმვა და ადგილის მენეჯმენტი. ღონისძიებების მენეჯმენტი, ტურიზმის მდგრადი განვითარება, ბიზნეს გეგმის განვითარება, კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები.
- დარგობრივი არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსების გათვალისწინებულია 45 ECTS კრედიტის ოდენობით, რომელიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს პროგრამის შემოთავაზებული 60 ECTS კრედიტიდან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12 ივნისს. ვიზიტამდე, 11 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, რუსუდან სეთურიძე, ნატა კვაჭანტირაძე, ანა მოსემღვდლიშვილი) განისაზღვრა აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

12 ივლისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან, დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეორე და მესამე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, ვინაიდან 2.2, 2.3 და 3.1 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდირებულია ტურიზმის საბაკალავრო საგანამნათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკში დაემატოს ტურიზმის სპეციფიური საგნები;
  - რეკომენდირებულია პროგრამის სასწავლო კურსების ,,კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები“ და „ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები“ დახვეწა.
  - რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობის გაძლიერება.
  - რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია პროგრამაში ასევე იყოს მითითებული სწავლის ისეთი შედეგები როგორიცაა პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა.
  - სასურველია მოხდეს პროგრამაში მოცემული საათობრივი გაანგარიშების ცხრილის გასწორება რეალურად ჩატარებული სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების შესაბამისად;
  - სასურველია დაიხვეწოს სასწავლო კურსის ,,ტურიზმის სამართალი და პოლიტიკა“ სილაბუსი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება. მისიიდან გამომდინარე განისაზღვრა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანი: სტუდენტს გამოუმუშავდეს დარგობრივი კომპეტენციები ტურიზმში. პროგრამა სტუდენტს აძლევს პროფესიისათვის საჭირო ცოდნას და უვითარებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ უნარებს, რათა კურსდამთავრებულებმა ტურიზმის ინდუსტრიაში შეიქმნან წარმატებული კარიერა. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 2014-2020 გეგმას. რომელშიც გაწერილია სამი ძირითადი სტრატეგიული მიზანი: 1. - ბიზნესის სფეროში განათლების სრულყოფილება და ინოვაციურობა; 2. გავხდეთ მეტად კვლევაზე ორიენტირებული ბიზნესის სკოლა; 3. ინტერნაციონალიზაცია. უნივერსიტეტის მთლიანი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში ასევე გაწერილია კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის 2014-2020 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მისიაა: „აღჭურვოს ახალგაზრდა თაობა დროის მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, ასევე ჩამოუყალიბოს და განუვითაროს მათ კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა ცივილიზებულ სამყაროში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობებისა და პრინციპების შესაბამისად“.<br><br>**შრომის ბაზარი**<br><br>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევაზე, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიერ იქნა ჩატარებული ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა, რომელიც გაანალიზდა პროგრამის მმართველი გუნდის მიერ და კვლევის შედეგები აისახა პროგრამის განვითარების პროცესში. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამები.<br><br>გასაუბრებიდან გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, თუმცა გასაუბრებისას შეინიშნებოდა დამსაქმებლების |

ჩართულობის სისუსტე.

**ინტერნაციონალიზაცია**

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები უამრავ საზღვარგარეთის უმაღლეს დაწესებულებასთან. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, როგორც მთლიანი უნივერსიტეტისათვის ასევე ტურიზმის სკოლისათვის. კერძოდ, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში ვკითხულობთ, ,,დარგის საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია ტურიზმის სკოლის საერთაშორისო ასპექტის გაძლიერება“. სტრატეგიული ამოცანებია:

1. შემუშავდეს მინიმუმ ერთი ორმაგი ხარისხის უცხოენოვანი პროგრამა საერთაშორისო პარტიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გზით.;
2. გაიზარდოს პარტნიორ უნივერსიტეტთა რაოდენობა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლისთვის.
3. უზრუნველვყოთ უცხოური, მაღალკვალიფიციური ლექტორების მიერ სალექციო მასტერკლასების ჩატარება;

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის აღწერილობით ნაწილში აღნიშნულია, რომ ,,კავკასიის უნივერსიტეტი თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და ამჟამად, 52 ქვეყნის 111-მდე პარტნიორს ითვლის. ერასმუს+, საერთაშორისო მობილობის პროექტების ფარგლებში 39 ევროპელ პარტნიორთან ახორციელებს გაცვლით პროგრამებს. გაწევრიანებულია პრიორიტეტული საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაციებსა და ქსელებში (9 მოქმედი ქსელი). ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო მობილობით ისარგებლა 143-მა სტუდენტმა და 66-მა პროფესორმა. უნივერსიტეტმა ასევე  უმასპინძლა 58 საერთაშორისო გაცვლით სტუდნეტს და 46 პროფესორს ევროპის და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტებიდან. 2014 წლიდან დღემდე მონაწილეობა  მიიღო 30 საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარებისა და კვლევით პროექტებში. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ საჭიროებს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გაძლიერება. (მოცემული საკითხი დეტალურად განიხილიება მომდევნო სტადნრტებში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2020 წწ https://cu.edu.ge/files/Docs/CU/About%20us/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- უნივერსიტეტის მისია;

| |
|---|
| o შრომის ბაზრის კვლევა;<br>o უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>o |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავდეს დარგობრივი კომპეტენციები ტურიზმში. პროგრამა სტუდენტს აძლევს პროფესიისათვის საჭირო ცოდნას და უვითარებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ უნარებს, რათა კურსდამთავრებულებმა ტურიზმის ინდუსტრიაში შეიქმნან წარმატებული კარიერა. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებულია შემდეგი სწავლის შედეგები:<br><br>1. ფლობს ტურიზმის სფეროში არსებულ უნარებს და აქვს შესაბამისი კომპონენტების საფუძვლიანი ცოდნა. |

2. იცის ტურიზმის ინდუსტრიის მართვის ძირითადი თეორიები და კონცეფციები;
3. შეუძლია ტურიზმის სფეროში პროექტებისა და ბიზნეს გეგმების შექმნა და განხორციელება;
4. შეუძლია ტურიზმის პოლიტიკისა და ეკონომიკის არსებული მდგომარეობის შეფასება და დაგეგმვა ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;
5. იცის ტურიზმის საერთაშორისო ბაზრები, მისი მარკეტინგული სტრატეგია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
6. იცის საქართველოს ტურისტული რესურსები; შეუძლია მათი მდგომარეობის შეფასება და ანალიზი;
7. შეუძლია ტურისტული კომპანიის მართვა, ტურის დაგეგმვა და მენეჯმენტი;
8. შეუძლია სასტუმრო ბიზნესის მართვა, იცის მისი სტანდარტები და დივერსიფიკაცია.

თითოეულ სწავლის შედეგს გააჩნია შეფასების ინდიკატორები. პროგრამის სწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაშია. თუმცა, პროგრამა ასევე მიზნად უნდა უსახავდეს ისეთ შედეგებზე გასვლას, როგორიცაა პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა.

სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფიზიკური და ადამიანისეული რესურსები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები, ისევე როგორც თავად პროგრამის სტრუქტურა და მიზანი გამომდინარეობს შრომის ბაზრის კვლევის ანალიზიდან.

პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ტურიზმის ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს:

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
- აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი
- დაცული ტერიტორიების სააგენტო
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობით ერთეულები
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები
- ტურისტული ადგილების მმართველი ორგანიზაციები
- სატრანსპორტო კომპანიები
- განთავსების საშუალებები
- ტურისტული კომპანიები
- რესტორნები და კვების ობიექტები
- გასართობი და ღონისძიებების ინდუსტრია
- ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ასოციაციები
- ტურიზმის სფეროში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ სააგენტოების მიმართულებები
- ტურიზმის სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამის შემუშავების პროცესში, მათ შორის პროგრამის ისეთი კომპონენტის როგორიცაა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას ინტენსიურად იყვნენ ჩართულნი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ხოლო დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში საჭიროებს მეტ გაძლიერებას.

| |
|---|
| პროგრამის ფარგლებში მომზადებულია სწავლის შედეგების რუკა. რომელშიც გაწერილია თუ რა სასწავლო კურსებით და რა დონით ხდება გასვლა კონკრეტულ სწავლის შედეგებზე. ასევე პროგრამაში მოცემულია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროფესორ-მასწავლებელთა რესურს-ბაზა.<br>გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სწავლის შეფასება ხდება სასწავლო კურსებში მოცემული შეფასების ფორმების მიხედვით და შეფასების ძირითადი კრიტერიუმები მოცემულია პროგრამის სწავლის კურსების სილაბუსებში. სწავლის შედეგების გასაზომად გამოიყენება პირდაპირი მექანიზმები, როგორიცაა პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების  მიღწევის შემოწმებას, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა. მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება. ხოლო არაპირდაპირი შეფასება მოიცავს - სტუდენტის და დაინტერესებული პირების დამოკიდებულებას სასწავლო პროცესების და პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი სტუდენტებს და დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა თავიანთი გამოცდილებიდან და პერსპექტივიდან გამომდინარე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;<br>o პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;<br>o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br>o შრომის ბაზრის ანალიზი;<br>o პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის ოქმები;<br>o გამოკითხვის შედეგები;<br>o სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;<br>o კურიკულუმის რუკა<br>o კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• **სასურველია პროგრამაში ასევე იყოს მითითებული სწავლის ისეთი შედეგები როგორიცაა პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა.** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| |
| შეფასება<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა მნიშნელოვანი ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. |

პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.cu.edu.ge/ka
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ"

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის" მიხედვით (დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 21 თებერვლის N01/01-03 ბრძანებით). ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი; კოდი

1120; საბაკალავრო პროგრამა დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2011 წლის 28 ივნისის #01/05-127 ბრძანებით) მოიცავს 240 კრედიტს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. სემესტრი მოიცავს კვირათა ერთობლიობას.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შემდეგია:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 ECTS კრედიტების ოდენობით. აქედან 50 ECTS ეთმობა უცხო ენების მოდულს (2 ენის სწავლება, მათ შორის ერთ-ერთი არის ინგლისური ენა).
- დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები გათვალისწინებულია 125 ECTS კრედიტის ოდენობით, კერძოდ ის მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, მენეჯმენტის საფუძვლები, შესავალი ტურიზმში, მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, ოპერაციული მენეჯმენტი, შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში, შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში, საქართველოს ტურისტული რესურსები, ტურიზმის სამართალი და პოლიტიკა, ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები, ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები, სასტუმროს მენეჯმენტი, ტურისტული კომპანიის მენეჯმენტი, ბიზნეს კომუნიკაცია, კვებისა და სასმელების მენეჯმენტი, ტურიზმის ეკონომიკა, ტურიზმის დაგეგმვა და ადგილის მენეჯმენტი. ღონისძიებების მენეჯმენტი, ტურიზმის მდგრადი განვითარება, ბიზნეს გეგმის განვითარება, კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები.
- დარგობრივი არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსების გათვალისწინებულია 45 ECTS კრედიტის ოდენობით, რომელიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს პროგრამის შემოთავაზებული 60 ECTS კრედიტიდან.

ამ ანალიზიდან და პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრით ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. **თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ტურიზმის ბაკალავრი, მნიშვნელოვანია დარგობრივ სავალდებულო საგნების ბლოკში მოხდეს სპეციფიური ტურიზმის საგნების დამატება ზოგიერთი ბიზნესის საგნების სანაცვლოდ.**

დარგობრივი არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსები გათვალისწინებულია 45 ECTS კრედიტის ოდენობით, რომელიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს პროგრამით შემოთავაზებული 60 ECTS კრედიტიდან. ამ 45 ECTS კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მაქსიმუმ 20 ECTS კრედიტი აითვისოს ალტერნატიული გზით: თავისუფალი კრედიტების აღიარების შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2014 წლის 31 მაისის №01/01-68 ბრძანების შესაბამისად. ამგვარად, ტურიზმის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

| |
|---|
| |
| რეკომენდაციები:<br><br>• რეკომენდირებულია ტუზრიმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკში დაემატოს ტურიზმის საგნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სილაბუსში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა (ძირითადი და დამატებითი) შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის |

| |
|---|
| მიმართ გვაქვს მოსაზრება. კერძოდ,<br><br>• გაანალიზდა სასწავლო კურსი **,,კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები“** სილაბუსი ყველა კომპონენტი. გამოვლინდა შემდეგი მოსაზრებები:<br>• სწავლის ერთ-ერთი შედეგია: იცის ტურისტული მიმართულებისთვის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისა და შეფასების ინსტრუმენტები. თუმცა ჩვენთვის გაუგებარია, რომელი თემით გავდივართ ამ შედეგზე.<br>• სასწავლო კურსის დასახელებაა ,,კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები“, შესაბამისად უნდა ისწავლებოდეს თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტები. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტების ახსნას ეთმობა ერთი თემის ერთი ქვესაკითხი და ისწავლება ლიტერატურით ,,სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებაში“,სადაც არ არის ახსნილი თვისებრივი კვლევის მეთოდები.<br>• **სასწავლო კურსი: ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები.** მოცემული სილაბუსის შინაარსის ანალიზი გიჩვენებს, 12 თემიდან 10 თემა ეძღვნება სტატისტიკური მეთოდების შესწავლას, რომელსაც როგორც ტურიზმში ასევე სხვა დარგებშიც გამოიყენებს სტუდენტი, ხოლო, მეთერთმეტე თემა ეძღვნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, რომელიც უკვე წინა 10 თემის ფარგებში ისწავლება, მეთორმეტე თემა ეძღვნება თვისებრივი კვლევის მეთოდების ახსნას. მაშინ როდესაც მოცემული თემების სწავლება უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსის ,,კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდების“ ფარგლებში.<br>1. სასწავლო კურსის ,,ტურიზმის სამართალი და პოლიტიკა“ სილაბუსში ვხდებით 2011 წელს გამოქვეყნებული ტურიზმის ეკონომიკისა და პოლიტიკის წიგნს (ძირითადი ლიტერატურა). გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკურ გარემოში მოვლენები სწრაფად იცვლება 8 წლის წინ გამოცემული წიგნი მოძველებული ჩანს. სილაბუსის შინაარსში ვხდებით ისეთ საკითხები, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკა და საკანონმდებლო რეგულაციები; ტურიზმის ხელშეკრულება; ტურიზმის ხელშეკრულების ნიმუშების განხილვა; საერთაშორისო სასტუმრო კონვენცია; ტურიზმის ქარტია; ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი. ჰააგის დეკლარაცია ტურიზმის შესახებ. მანილის დეკლარაცია მსოფლიო ტურიზმის შესახებ. შესაბამისად იბადება კითხვა რამდენად დამლევადია მოცემული საკითხების შესწავლა საშუალო სტატისტიკური სტუდენტისათვის რომელსაც არ აქვს გავლილი სამართლის პრინციპები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;<br>o სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>o აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები.<br>o სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• **რეკომენდირებულია პროგრამის სასწავლო კურსების ,,კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები“ და ,,ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები“ დახვეწა.** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

| |
|---|
| • **სასურველია დაიხვეწოს სასწავლო კურსის „ტურიზმის სამართალი და პოლიტიკა“ სილაბუსი.** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კურსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას. კერძოდ ცალკეულ სასწავლო კურსის ფარგლებში პროექტებისა და პრაქტიკული ხასიათის დავალებებით შესრულებით უზრუნველყოფენ სტუდენტებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ამას გარდა სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, ხოლო სავალდებულო არჩევითი კომპონენტია სტაჟირება ტურიზმში. აღნიშნული კომპონენტები სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს დარგისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრად.<br>სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული კომპონენტები ხორციელდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით განსაზღვრულ ტურიზმის სფეროში არსებულ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| o ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა<br>o სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>o დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;<br>o სტუდენტთა დასაქმების კვლევა. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| სწავლების მეთოდების აღწერილობითი ნაწილი შეესაბამება რეალობაში განხორციელებულ მეთოდებს, არის არსებული საფეხურების მიმართ რელევანტური და სრულად უზრუნველყოფს შედეგების მიღებას.  პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის:<br>1. **დისკუსია/დებატები**<br>2. **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა**<br>3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)**<br>4. **გონებრივი იერიში (Brain storming)** –<br>5. **როლური და სიტუაციური თამაშები**<br>6. **დემონსტრირების მეთოდი**<br>7. **ელექტრონული სწავლება** |

| |
|---|
| 8. **საწარმოო პრაქტიკისათვის**<br>საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულ საათობრივი გაანგარიშების ცხრილის ყველა სასწავლო კურსში დაფიქსირებულია მხოლოდ ლექცია და სემინარი. სასურველია მოხდეს პროგრამაში მოცემული საათობრივი გაანგარიშების ცხრილის გასწორება რეალურად ჩატარებული სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების შესაბამისად |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;<br>• გამოკითხვის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>o **სასურველია მოხდეს პროგრამაში მოცემული საათობრივი გაანგარიშების ცხრილის გასწორება რეალურად ჩატარებული სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების შესაბამისად** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, |

| |
|---|
| გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება, პროგრამისა და სილაბუსში გამჭვირვალედ და ნათლად გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, როგორც პროგრამაში, ისე სილაბუსში მკაცრადაა გაწერილი ცალკეული შეფასების კრიტერიუმები სწავლების მეთოდოლოგიის მიხედვით. მკაფიოდაა გაწერილი შუალედური და დასკვნითი გამოცდების შესაბამისი ქულების დაგროვების წინაპირობები. ასევე, წინასწარ განსაზღვრულია წერითი და ზეპირი (პრეზენტაციები, საკლასო მონაწილეობა, პროექტი, ჯგუფური მუშაობა, წერითი ქვიზი) გამოკითხვის მინიმალური რაოდენობები და მათი შეფასების კრიტერიუმები და სიხშირე. ცალკეული გამოკითხვის შედეგთან დაკავშირებით სტუდენტებს განემარტებათ შეფასების კრიტერიუმები და მოცულობა. მიმდინარე შეფასებას ახორციელებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელიც შეფასების თითოეულ კომპონენტში მიღწეულ შედეგს აფიქსირებს ელექტრონულ ჟურნალში. სტუდენტს აქვს საშუალება გაასაჩივროს მიღებული შეფასება, რომელზეც ფაკულტეტი ახდენს შესაბამის რეაგირებას.<br><br>სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სტუდენტთა უკუკავშირს. ინტერვიუებისა და მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძლევზე დადგინდა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს შეფასების შედეგების ანალიზს, ხდება მათი განხილვა, ხარვეზების გამოვლენა და შემდგომი რეაგირება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი;<br>o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>o სილაბუსები;<br>o ინტერვიუ სტუდენტებთან,პროგრამის ხელმძღვანელთან,მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან;<br>o სტუდენტური სემესტრული შეფასებები;<br>o გამოცდების ჩატარების შესახებ დებულება.<br>o ვებ-გვერდი https://www.cu.edu.ge/ka |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| შეფასება |
|---|
| ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| სტუდენტი იღებს, სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. პროგრამის დაწყებისთანავე მათ უტარდებათ ამომწურავი საორიენტაციო შეხვედრა, სადაც მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტის სამსახურების და პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე. შექმნილია სტუდენტებთან საკომუნიკაციო ელექტრონული ქსელი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მომსახურების სერვისი, სადაც როგორც ფიზიკურად, ისე ელექტრონულად უზრუნველყოფილია მიმართვიანობა. უნივერსიტეტი და სკოლის ადმინისტრაცია ახდენს სტუდენტის კითხვებსა თუ პრობლემებზე რეაგირებას. მათთან საკონსულტაციო შესაძლებლობა უზრუნველყოფილია ადმინისტრაციის ნებისმიერ წარმომადგენელთან და აკადემიურ პერსონალთან. |

აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად და არსებული სირთულეების დასაძლევად სილაბუსით გაწერილი დამატებითი საკონსულტაციო საათები რეგულარულად ეთმობათ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში. ასევე, არსებობს დამატებით საზაფხულო კურსების პრაქტიკა.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები, აღნიშნულ რესურსებზე მათ ასევე წვდომა აქვთ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები ზრუნავენ სტუდენტთა დასაქმებაზე და მათ კარიერულ განვითარებაზე, უნივერსიტეტში აწყობენ შეხვედრებს დამსაქმებლებთან, სტუდენტებს აქვთ წვდომა გამოცხადებულ ვაკანსიებზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა 100% დასაქმებულია. ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა ექსტრაკურიკულურ ღონისძიებებს. სისტემატურად იმართება ინტელექტუალური თუ სპორტული თამაშები. ტურიზმის სკოლის ადმინისტრაცია და ლექტორთა კოლექტივი დამატებით ყურადღებას უთმობენ ექსკურსიებს და მათ (მათ შორის დამოუკიდებლად) ორგანიზებაში სტუდენტურ ჩართულობას.

უნივერსიტეტში ფუნქციონერებს საერთაშორისო და კარიერული ზრდის სამსახურები შესაბამისი სტუდენტური კონსულტაციებისთვის.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. ბოლო 5 წლის განმავლობაში 4 სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ სასწავლებლად. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის გაცვლით პროგრამებს აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში საჭიროებს წახალისებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საგანამანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუდენტების გამოკითხვები;
- საკონსულტაციო საათები;
- დასაქმების, მარკეტინგის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტების რეგულარული შიდაქსელური ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების და ღონისძიებების შესახებ;
- ინტერვიუ სტუდენტებთან,კურსდამთავრებულებთან,მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან;
- სტუდენტური ყოველწლიური სპორტული, კულტურული, სოციალური ღონისძიებების ამსახველი მასალა;
- ექსკურსიები, შემეცნებითი ტურების ამსახველი მასალა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ჩართვის

| |
|---|
| ხელშეწყობა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე |

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | √ | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა |

მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პერსონალი (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი), რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში. პროგრამაში ჩართულია: 5 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი. აქედან 3 აფილირებული აკადემიური პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული 2 უცხოელი აკადემიური პერსონალი. აკადემიურ პროცესში ჩართულია 20 მოწვეული პროფესორი, რომელთა მათგანს გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე პირის მიმართ ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება კავკასიის უნივერსიტეტის დებულების 62 მუხლით, კერძოდ:

- პროფესორად 6 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება.
- ასოცირებულ პროფესორად 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.
- ასისტენტ-პროფესორად 3 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

ასისტენტად 3 წლის ვადით აირჩევა:

ა) დოქტორანტი;

ბ) მაგისტრის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში მუშაობის არანაკლებ

3 წლიანი გამოცდილება. მათ შორის დარგში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება.

პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით. **ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების აუცილებელი კომპეტენცია.**

ვიზიტის დროს გამოვლინდა სასწავლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი საკვალიფიკაციო

| |
|---|
| მოთხოვნები, რაც მნიშვნელოვანია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის, თუმცა, აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების, კერძოდ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა გვიჩვენებს, რომ საჭიროებს აკადემიური პერსონალის კვლევითი პროცესის გაძლიერება.<br><br>პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o კავკასიის უნივერსიტეტის დებულება;<br>o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>o აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;<br>o ელექტრონული პორტალი<br>o პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;<br>o |
| რეკომენდაციები:<br><br>• რეკომენდირებული აკადემიური პერონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობის გაძლიერება. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o |
| შეფასება<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის.<br>უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების კვლევები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით.<br><br>კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი აქტივობების ანალიზის მიზნით, კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი აგროვებს და რეგულარულად აახლებს ინფორმაციას კავკასიის უნივერსიტეტის ინსტიტუციური აფილირების მითითებით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ. ასევე, ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებში (ძირითადად სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი) უნივერსიტეტის სახელით წარდგენილი კვლევითი პროექტების შესახებ.<br><br>2019 წლის იანვრიდან კავკასიის უნივერსიტეტი საქართველოში ავტორიზებულ უსდ-ებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ებთან ერთად მონაწილეობს Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „**Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units / HERD**“, რომლის იმპლემენტაციის ფარგლებში უნივერსიტეტს ექნება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი აქტივობების ანალიზისთვის პროგრამული უზრუნველყოფა.<br><br>ამას გარდა, უნივერსიტეტში მოქმედებს მექანიზმი, რომლის მიზანია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. მექანიზმის მიხედვით, წლის განმავლობაში ორჯერ - დეკემბერში და ივნისში, ცხადდება პროექტების მიღება კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად. თუმცა, როგორც გასაუბრებიდან ირკვევა ამ ეტაპზე ტურიზმის პროგრამის აკადემიურ პერსონალს მოცემულ კონკურსში ჯერ არ მიუღია მონაწილეობა.<br><br>პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს ტრენინგებს. მაგალითად, 2019 წელს ჩატარდა ტრენინგი აკადემიური წერაში. ტრენერებმა მონაწილე პერსონალთან ერთად განიხილეს აკადემიური წერის სილაბუსის ძირითადი კომპონენტები და სილაბუსისთვის აუცილებელი თემები. ტრენინგის კომპონენტი იყო: |

Moodle and Turn it in-ის უკეთესად ათვისებაც. იგივე თემებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგი (პროექტ INTEGRITY-ის ფარგლებში) გაიმართა 2018 წელსაც. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა 2-მა პირმა აკადემიური პერსონალიდან და 1-მა პირმა მოწვეული პერსონალიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ 2018 წლის ანგარიში;
- მონაწილეობა Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „**Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units / HERD**“;
- კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ (2018 წელი).
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

| |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| დაწესებულების ინფრასტრუქტურა თანამედროვეა. მასში შექმნილია პროგრამის შედეგების მიღწევისათვის შესაბამისი გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით და სასწავლო პროცესისათვის სხვა საჭირო ტექნიკით. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა წიგნს და წიგნების ელექტრონულ ანალოგებს. ბიბლიოთეკა ღიაა, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე ნებისმიერი მსურველთათვის. ნებისმიერ მსურველს აქვს წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან. უნივერსიტეტში გამოყოფილია სივრცე სტუდენტების ჯგუფური მუშაობისთვის. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია დანახარჯები საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაზე. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა. უნივერსიტეტი აღნიშნულ სისტემაში ახდენს ყველა სტუდენტის რეგისტრაციას, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზებას, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსებას. სისტემის საშუალებით, სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს, ამოწმებს მიღებულ შეფასებებსა და დაგროვებულ კრედიტებს.<br><br>ბიბლიოთეკაში არსებობს კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ბეჭდური თუ ელექტრონული ლიტერატურა. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტებს აქვთ წვდომა ისეთ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე როგორებიცაა:<br><br>➢ ScienceDirect<br>➢ Scopus<br>➢ Sci-val Funding(Funding Institutional)<br>➢ Taylor And Francis Online<br>➢ HeinOnline<br>➢ EBSCOHost Elit package:<br><br>1. Academic Search Elite<br>2. International Security & Counter Terrorism Reference Center<br>3. Business Source Elite<br>4. Newspaper Source<br>5. Regional Business News<br>6. ERIC<br>7. MasterFILE Elite<br>8. Library, Information Science & Technology Abstracts<br>9. MEDLINE<br>10. Health Source: Nursing/Academic Edition<br>11. Health Source - Consumer Edition |

| |
|---|
| 12. AHFS Consumer Medication Information |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საბიბლიოთეკო ბაზები და ქსელები;<br>o შენობა-ნაგებობების საკუთრების დოკუმენტით;<br>o სილაბუსებში არსებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა დასტურდება ვებგვერდზე არსებული კატალოგებით;<br>o შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერებით.<br><br>o |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |

| |
|---|
| |
| პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს.ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“. ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროფესიული განვითარების ეტაპები. ბიუჯეტი აკმაყოფილებს პროგრამის სრულფასოვან შესრულებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი<br>o უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o |
| **შეფასება**<br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.<br><br>პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ასევე ტურიზმის ექსპერტი (2018 წლის N3 ოქმი).<br><br>შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". უსდ-ში არსებობს გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• უნივერსიტეტის რეგულაციების დოკუმენტების მიმოხილვა;<br>• ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;<br>• ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>• ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>• გამოკითხვის შედეგები;<br>• ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; |

| |
|---|
| • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ხდება აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების განხილვა და შესრულება. შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფს ხარისხის განვითარების პროცესს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;<br>o ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>o ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>o ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/. |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| **პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.** |
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად. დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ კითხვარების მეშვეობით გავლილ სასწავლო კურსებს.<br><br>მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| o ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;<br>o ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>o ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>o ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>o გამოკითხვის შედეგები;<br>o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | √ | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა 

სახელი, გვარი, ხელმოწერა 

სახელი, გვარი, ხელმოწერა 